სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State Teaching University

ბრძანება № 1-65

გორი 13 10 2017წ.

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხისა და წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის (11.10.2017. N1243166) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს 2017 წლის შემოდგომის პროფესიული ტესტირების გზით სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ბ) ორი ფოტოსურათი 3X4 და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია;

გ) პირველად საფეხურზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტისათვის სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი ან უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი (დედნის წარმოდგენით), ხოლო შემდგომ საფეხურზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტისათვის წინა საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი (დედნის წარმოდგენით) ან ცნობა კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2017 წლის 13-21 ნოემბერი;

3. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს ბრძანება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

4. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით;

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი